

შპს „კლიონ ჯორჯიას“
2023 წლის ფინანსური ანგარიშგება
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

თბილისი

2025

ს ა რ ზ ე ვ ი

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა	3
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა შპს „კლიონ ჯორჯიას“ 2023 წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე	4
შპს „კლიონ ჯორჯიას“ 2023 წლის ფინანსური ანგარიშგება: ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	9
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	10
საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	11
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	12
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	13

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ განხორციელებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობას და კაპიტალის ცვლილებებს 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის, ასევე სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვასა და განმარტებით შენიშვნებს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულად შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, სააღრიცხვო პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- განსჯასთან და შეფასებებთან დაკავშირებული მართებული და გონივრული გადაწყვეტილებების მიღებაზე;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც გარემოებები ამას შეუძლებელს ხდის.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ეფექტიანი და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი საბუღალტრო ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ასევე ფინანსური ანგარიშგების ფასს-ების მოთხოვნებთან შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობის, შეცდომებისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშო პერიოდისთვის დადასტურებულია ხელმძღვანელობის მიერ და ხელმოწერილია 2025 წლის 12 მარტს:

დირექტორი -----

ევგენი ბობროვი

მთ. ბუღალტერი -----

თეა ქოქოვეა

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2023 წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე

შპს „კლიონ ჯორჯიას“ პარტნიორებსა და მენეჯმენტს

უარყოფითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „კლიონ ჯორჯიას“ (საიდენტიფიკაციო ნომერი – 405118581) (შემდგომში – „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, უტყუარად და სამართლიანად არ ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

უარყოფითი მოსაზრების საფუძველი

კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით 2023 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩატარება ჩვენმა აუდიტორმა კომპანიამ დაიწყო 2024 წლის ივლისიდან. შესაბამისად, ჩვენ ვერ მოვახერხეთ საანგარიშგებო პერიოდის (2023 წლის) დასაწყისში და ბოლოს, აგრეთვე შესაძარისი პერიოდის დასაწყისში და ბოლოს მარაგების ინვენტარიზაციაზე დაკვირვებით ან სხვა ალტერნატიული გზებით, მარაგების რაოდენობებისა და დასტურება, რომლებიც კომპანიას აქვს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღრიცხული საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში და ბოლოს (2023 წლის ბოლოს - 4 668 ათასი ლარი, 2022 წლის ბოლოს - 5 698 ათასი ლარი და 2022 წლის დასაწყისში - 3 585 ათასი ლარი). ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო, ვერ განვსაზღვრეთ, აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხულ მარაგთან და მის მოძრაობასთან დაკავშირებით.

ჩვენ ვერ მოვიპოვეთ მესამე მხარეებისგან დასტურის წერილები გადახდილი ავანსების უმეტეს ნაწილზე (31.12.2023: 36 514 ათასი ლარი, 31.12.2022: 28 224 ათასი ლარი და 01.01.2022: 3 086 ათასი ლარი) და ვერც სხვა ალტერნატიული პროცედურებით შევძელით მათი დადასტურება. შესაბამისად, ვერ დავადგინეთ, საჭირო იყო თუ არა გადახდილი ავანსების მუხლში და მათთან დაკავშირებული ფინანსური ანგარიშგების სხვა ელემენტების მუხლებში რამე სახის კორექტირების შეტანა.

ჩვენ ვერ მოვიპოვეთ მესამე მხარეებისგან დასტურის წერილები სახელშეკრულებო ვალდებულებების უმეტეს ნაწილზე (31.12.2023: 38 596 ათასი ლარი, 31.12.2022: 40 417 ათასი ლარი და 01.01.2022: 45 ლარი) და ვერც სხვა ალტერნატიული პროცედურებით შევძელით მათი დადასტურება. შესაბამისად, ვერ დავადგინეთ, საჭირო იყო თუ არა გადახდილი ავანსების მუხლში და მათთან დაკავშირებული ფინანსური ანგარიშგების სხვა ელემენტების მუხლებში რამე სახის კორექტირების შეტანა.

კომპანიის მიერ არ მომხდარა მოთხოვნების ვადიანობის ანალიზი, მისაღები ეკონომიკური სარგებლის შეფასება და საექვო მოთხოვნების იდენტიფიცირება. შესაბამისად კომპანიას ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული არ ჰქონდა საექვო მოთხოვნების რეზერვი. ჩვენ ვერ შევძელით დაგვედგინა ფინანსური ანგარიშგების ელემენტებში საჭირო იყო თუ არა რაიმე სახის კორექტირების შეტანა.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის – „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ – ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან „ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო საბჭოს“ „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ (IESBA-კოდექსი) და საქართველოში მოქმედი ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებული ეთიკის ნორმების შესაბამისად და ჩვენ აგრეთვე შევასრულეთ IESBA-კოდექსის და ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებები. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა გარემოებები

ყურადღებას მივაპყრობთ იმ გარემოებაზე, რომ წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება შედგენილია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ როგორც ფასს-ების პირველადი გამოყენება. ფასს-ებზე გადასვლის თარიღია 2022 წლის 1 იანვარი. ფასს 1 - „ფასს-ების პირველადი გამოყენება“ 21-ე მუხლის თანახმად, კომპანიამ წინამდებარე 2023 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოადგინა საანგარიშო წლის წინა, 2022 წლის შესადარისი ინფორმაცია. ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებით.

სხვა ინფორმაცია, რომელიც არ არის ფინანსური ანგარიშგება და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნა

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის თანახმად:

„1. სდპ-მა და პირველი და მეორე კატეგორიების საწარმოებმა უნდა მოამზადონ და სამსახურს უნდა წარუდგინონ მმართველობის ანგარიშგება...“

2. მმართველობის ანგარიშგება მოიცავს:

ა) საქმიანობის მიმოხილვას; ბ) კორპორაციული მართვის ანგარიშგებას; გ) არაფინანსურ ანგარიშგებას.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობის მიმოხილვას ამზადებენ სდპ და პირველი და მეორე კატეგორიების საწარმოები.

4. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ კორპორაციული მართვის ანგარიშგებას ამზადებს ამ კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ყ.ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული პირი.

5. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ არაფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს ის სდპ, რომელიც შეესაბამება პირველი კატეგორიის საწარმოს ზომით კატეგორიას, ამასთანავე, საანგარიშგებო პერიოდში ჰყავს საშუალოდ 500-ზე მეტი დასაქმებული...“

10. სდპ და პირველი და მეორე კატეგორიების საწარმოები ვალდებული არიან, მმართველობის ანგარიშგება მიაწოდონ აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას. აუდიტორი/აუდიტორული ფირმა გამოთქვამს თავის მოსაზრებას ამ მუხლის მე-6 პუნქტისა და მე-7 პუნქტის „გ“ და „ზ“

ქვეყნების მის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობისა და იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებებთან თანხედენილობის თაობაზე. აუდიტის განხორციელების პროცესში სუბიექტის შესახებ მიღებული ინფორმაციის გათვალისწინებით აუდიტორი/აუდიტორული ფირმა განსაზღვრავს არსებით უზუსტობებს და საჭიროების შემთხვევაში მიუთითებს მათ არსს“.

აღნიშნული მოთხოვნების შესაბამისად, კომპანიამ ფინანსურ ანგარიშგებასთან თანადროულად წარმოადგინა მმართველობის ანგარიშგება, საქმიანობის მიმოხილვის სახით. საქმიანობის მიმოხილვაში ასახულ ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. საქმიანობის მიმოხილვა მოიცავს ინფორმაციას კომპანიის საქმიანობის, ძირითადი მაჩვენებლების, რისკებისა და სამომავლო გეგმების შესახებ, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას. ჩვენი მოსაზრება კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოადგენს მასზე. ჩვენ მიერ ჩატარებულ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცენოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხედენილობის შესახებ

კომპანიას 2023 წლის მმართველობის ანგარიშგება (საქმიანობის მიმოხილვა) თანხედენილია ამავე საანგარიშგებო წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია კომპანიის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ას-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის – ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტით განსაზღვრული ნაწილის (საქმიანობის მიმოხილვის) ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მიუუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილი – საქმიანობის მიმოხილვა შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით. ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

გარიგების პარტნიორი აუდიტისა, რომლის შედეგად გაიცა აღნიშნული დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა:

გიორგი ცერცვაძე

შპს აუდიტური კონცერნი „ცოდნისა“
საქართველო, თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი 41.

12 მარტი, 2025 წელი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(1 ლარი)

	შენ.	31.12.2023	31.12.2022	01.01.2022
მოკლევადიანი აქტივები:				
ფული და ფულის ეკვივალენტები	3.1	3 673 556	9 713 777	1 036 250
სავაჭრო მოთხოვნები	3.2	12 729 252	9 464 460	1 893 325
გადახდილი ავანსები და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	3.3	36 517 959	28 233 958	3 086 114
მარაგები	3.4	4 668 444	5 698 186	3 585 048
საგადასახადო აქტივები		6 310	17 543	72 297
მოკლევადიანი აქტივები სულ:		57 595 521	53 127 924	9 673 034
გრძელვადიანი აქტივები:				
ძირითადი საშუალებები		15 172	25 556	32 113
გამოყენების უფლების მქონე აქტივი	3.5	84 842	113 123	-
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში	3.6	8 039 600	4 920 586	-
გრძელვადიანი აქტივები სულ:		8 139 614	5 059 265	32 113
აქტივები სულ:		65 735 135	58 187 189	9 705 147
მოკლევადიანი ვალდებულებები:				
სავაჭრო ვალდებულებები	3.7	12 871 810	7 824 533	917 819
საიჯარო ვალდებულების მიმდინარე ნაწილი	3.5	23 097	21 070	-
სახელმწიფო ვალდებულებები	3.8	38 595 892	40 417 100	45
მოკლევადიანი სესხები	3.9	3 746 227	1 150 876	1 151 060
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		7 834	7 885	5 410
მოკლევადიანი ვალდებულებები სულ:		55 244 860	49 421 464	2 074 334
გრძელვადიანი ვალდებულებები:				
გრძელვადიანი სესხები	3.10	-	2 388 141	3 113 789
საიჯარო ვალდებულების გრძელვადიანი ნაწილი	3.5	58 063	82 652	-
გრძელვადიანი ვალდებულებები სულ:		58 063	2 470 793	3 113 789
მესაკუთრეთა კაპიტალი				
გაუნაწილებელი მოგება/(დაუფარავი ზარალი)		10 432 212	6 294 932	4 517 024
მესაკუთრეთა კაპიტალი სულ:		10 432 212	6 294 932	4 517 024
სულ ვალდებულებები და კაპიტალი:		65 735 135	58 187 189	9 705 147

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2025 წლის 12 მარტს და ხელმოწერილია:

დირექტორი -----

ევგენი ბობროვი

მთ. ბუღალტერი -----

თეა ქოქოვეა

თანდართული შენიშვნები მე-13-დან 36-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(1 ლარი)

		2023	2022
	შენ.		
ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული			
ხელშეკრულებებიდან	3.12	160,884,469	95,367,156
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	3.13	(155,427,210)	(89,247,705)
მოგება ძირითადი საქმიანობიდან		5,457,259	6,119,451
მიწოდების ხარჯი	3.14	(3,542,218)	(2,095,782)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	3.15	(572,251)	(545,478)
მოგება საოპერაციო საქმიანობიდან		1,342,790	3,478,191
ფინანსური შემოსავალი	3.16	270,594	576,781
ფინანსური ხარჯი	3.17	(245,128)	(185,424)
მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობებიდან		(880,382)	(2,609,637)
მოგება/(ზარალი) მეკავშირე საწარმოდან (წილობრივი მეთოდით)	3.7	3,119,014	58,266
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)	3.18	530,392	459,731
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		4,137,280	1,777,908
მოგების გადასახადი		-	-
წლის წმინდა მოგება		4,137,280	1,777,908

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2025 წლის 12 მარტს და ხელმოწერილია:

დირექტორი -----

ევგენი ბობროვი

მთ. ბუღალტერი -----

თეა ქოქოვეა

თანდართული შენიშვნები მე-13-დან 36-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(1 ლარი)

	დაგროვილი მოგება/ (ზარალი)	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 01.01.2022-სთვის	4 538 133	4 538 133
სააღრიცხვო პოლიტიკის შეცვლით გამოწვეული კორექტირებები	-	-
შეცდომის გასწორებით გამოწვეული კორექტირებები	(21 109)	(21 109)
ნაშთი 01.01.2022-თვის	4 517 024	4 517 024
საანგარიშგებო პერიოდის მოგება	1 777 908	1 777 908
საანგარიშგებო პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი	6 294 932	6 294 932
სულ მესაკუთრებთან განხორციელებული ოპერაციები	-	-
ნაშთი 31.12.2022-სთვის	6 294 932	6 294 932

	დაგროვილი მოგება/ (ზარალი)	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 31.12.2022-სთვის	6 055 268	6 055 268
სააღრიცხვო პოლიტიკის შეცვლით გამოწვეული კორექტირებები	9 401	9 401
შეცდომის გასწორებით გამოწვეული კორექტირებები	230 263	230 263
ნაშთი 31.12.2022-თვის	6 294 932	6 294 932
საანგარიშგებო პერიოდის მოგება	4 137 280	4 137 280
საანგარიშგებო პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი	10 432 212	10 432 212
სულ მესაკუთრებთან განხორციელებული ოპერაციები	-	-
ნაშთი 31.12.2023-სთვის	10 432 212	10 432 212

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2025 წლის 12 მარტს და ხელმოწერილია:

დირექტორი -----

ევგენი ბობროვი

მთ. ბუღალტერი -----

თეა ქოქოვა

თანდართული შენიშვნები მე-13-დან 36-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(1 ლარი)

	2023 წელი	2022 წელი	შენიშვნა
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:			
მყიდველებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	178 102 009	138 897 235	
სხვა შემოსულობანი საოპერაციო საქმიანობიდან	262 438	-	
მიმწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები	(179 142 149)	(120 367 013)	
გაცემული შრომის ანაზღაურება (საპენსიო შენატანების ჩათვლით)	(246 413)	(252 216)	
ანგარიშვალდებულ პირებზე გაცემული ავანსები	5 918	(9 024)	
გადახდილი გადასახადები	(2 627 198)	(3 092 039)	
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გაცემები	(79 407)	(1 795 825)	
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საოპერაციო საქმიანობიდან	(3 724 801)	13 381 117	
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:			
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა	-	5 545	
მიღებული პროცენტები	8 156	28 843	
სხვა შემოსულობანი /განაცემები საინვესტიციო საქმიანობიდან (ნეტო)	(2 103 663)	(2 880 570)	
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საინვესტიციო საქმიანობიდან	(2 095 508)	(2 846 182)	
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან:			
სესხების აღება	12 173 129	5 958 001	
სესხების დაფარვა	(12 069 260)	(5 958 001)	
გადახდილი პროცენტები	(119 333)	(20 671)	
საიჯარო ვალდებულებასთან დაკავშირებული გადახდები	(32 739)	(36 037)	
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საფინანსო საქმიანობიდან	(48 203)	(56 707)	3.19
ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული ზრდა / კლება (ნეტო)	(171 709)	(1 800 701)	
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი:	(6 040 221)	8 677 527	
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის დასაწყისისათვის:	9 713 777	1 036 250	
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის ბოლოსათვის:	3 673 556	9 713 777	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2025 წლის 12 მარტს და ხელმოწერილია:

დირექტორი ----- ევგენი ბობროვი

მთ. ბუღალტერი ----- თეა ქოქოვეა

თანდართული შენიშვნები მე-13-დან 36-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

2023 წლის ფინანსური ანგარიშგების

განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ნაწილი

1.1. წინამდებარე 2023 წლის ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „კლიონ ჯორჯიას“ (შემდგომში – კომპანია) მიერ. შპს „კლიონ ჯორჯია“ დარეგისტრებულია 2015 წლის 29 სექტემბერს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მისი საიდენტიფიკაციო ნომერია – 405118581. იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, მოსკოვის გამზირი, N 8. კომპანია დარეგისტრებულია დღგ-ის გადამხდელად.

1.2. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 100%-იანი წილის მფლობელი იყო შპს „თევზით მოვაჭრე კომპანია ტრანსაქტუატიკი“ (კვიპროსი, HE 280918). 2023 წლის 20 ნოემბერს მესაკუთრემ მოახდინა კუთვნილი წილის სრული გასხვისება და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 100%-იანი წილის მფლობელი იყო შპს „კლიონგრუპ ფტც“ (კვიპროსი, HE 439111). საბოლოო ბენეფიციარ მფლობელებს წარმოადგენენ: 13,06%-იანი წილით სერგეი კარდაში (უკრაინა), 56,26%-იანი წილით ევგენი ბრენგაჩი (უკრაინა), 27,75%-იანი წილით დიმიტრი ბობროვი (უკრაინა) და 2,93%-იანი წილით ნატალია ვლასენკო (უკრაინა).

1.3. კომპანიის მმართველობის ორგანოებია:

ა) პარტნიორთა კრება; ბ) დირექტორი.

კომპანიის ყოველდღიური მართვა ხორციელდება დირექტორის მიერ.

წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის დღეს არის დირექტორი ევგენი ბობროვი.

1.4. შვილობილი და მეკავშირე საწარმოები:

2022-2023 წლებში კომპანიას შვილობილი საწარმოები არ ჰყავდა.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანია ფლობდა 20%-იან წილს მეკავშირე საწარმოში „პესქუერიას ბელნოვა“.

1.5. კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობებია:

თევზისა და ზღვის პროდუქტების იმპორტი და რეალიზაცია.

1.6. ბიზნეს-გარემო

კომპანია საქმიანობას ეწევა საქართველოში და მასზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები. საქართველოში მოქმედი საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი სტრუქტურები განაგრძობენ განვითარებას. განვითარებადი ქვეყნისთვის დამახასიათებელია ხშირი საკანონმდებლო ცვლილებები.

1.7. წესდების მიხედვით, სამეურნეო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. კომპანია 2023 წლიდან წარმოადგენს პირველი კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ მიღებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS ანუ „ფას“-ები) სრული ვერსიის მიხედვით. ამასთან, მას ევალება ყოველწლიურად ფინანსური ანგარიშგების სავალდებულო აუდიტის ჩატარება.

2.2. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი – დარიცხვის მეთოდი დაცულია.

ფინანსური ანგარიშგების „ფას“-ებთან შესაბამისობით მომზადება მენეჯმენტისგან ითხოვს დაშვებების, შეფასებებისა და მოსაზრებების გამოთქმას, რომლებიც მოქმედებენ ფინანსური აღრიცხვის პოლიტიკების გამოყენებასა და აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლისა და ხარჯების, ასევე პირობითი აქტივებისა და პირობითი ვალდებულებების თანხებზე. შეფასებები და ძირითადი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

2.3. გათვალისწინებულია „ფას“-ების ძირითადი დაშვება – ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2023 წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება შედგენილია კომპანიის მენეჯმენტის მიერ როგორც ფას-ების პირველადი გამოყენება. ფას-ებზე გადასვლის თარიღია 2022 წლის 1 იანვარი. ფას 1 „ფას-ების პირველადი გამოყენება“ 21-ე მუხლის თანახმად, კომპანიამ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოადგინა საანგარიშო წლის წინა წლის (2022 წლის) შესადარისი ინფორმაცია და 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება. ახალი მეთოდოლოგიისა და სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად, რეტროსპექტულად გადაანგარიშდა საბუღალტრო ნაშთები 2022 წლის 01 იანვრის მდგომარეობით. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოქმედი ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები და ინტერპრეტაციები.

2.5. კომპანიის მიერ ფაქტობრივად გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების ძირითადი საფუძველი

კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს ფას-ების შესაბამისად. კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მოიცავს: ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებას, ფულადი ნაკადების ანგარიშგებას და განმარტებით შენიშვნებს. მოგება-ზარალისა და სხვა სრული

შემოსავლის ანგარიშგება დგება ხარჯების კლასიფიკაციით ფუნქციური დანიშნულების მიხედვით, ხოლო ფულადი ნაკადების ანგარიშგება – პირდაპირი მეთოდით.

საანგარიშგებო პერიოდი

საანგარიშგებო წელი ემთხვევა კალენდარულ წელს. 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლის ბოლოს მდგომარეობით მონაცემები იგივეა, რაც მომდევნო წლის 1 იანვრის მდგომარეობით მოყვანილი მონაცემები.

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივების მართვის ბიზნეს-მოდელი მდგომარეობს იმაში, თუ როგორ მართავს კომპანია ფინანსურ აქტივებს, ფულადი ნაკადების დასაგენერირებლად. ფინანსური აქტივების მართვის ბიზნეს-მოდელი განსაზღვრავს, როგორ ხდება ფულადი ნაკადების შემოღინება, იქნება ეს სახელშეკრულებო პირობების მიხედვით, ფინანსური აქტივის გაყიდვით, თუ ორივე ერთად.

სავაჭრო მოთხოვნები, რომლებიც არ მოიცავს მნიშვნელოვან დაფინანსების კომპონენტს, აღირიცხება გარიგების ღირებულებით (რაც დადგენილია ფასს 15-ის მოთხოვნების შესაბამისად).

ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება და შეფასდება ამორტიზირებული ღირებულებით, მაშინ, როცა:

1) თუ ეს აქტივი წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომელიც დაკავშირებული იქნება „მხოლოდ ძირის და პროცენტის გადახდებთან“ (SPPI) ნარჩენ ძირ თანხაზე. აღნიშნული შეფასება მოიხსენიება როგორც SPPI ტესტი და ხორციელდება კონკრეტული ფინანსური ინსტრუმენტის დონეზე. საპროცენტო ამონაგები გამოითვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

2) როცა კომპანია ფლობს ფინანსურ აქტივებს მათგან გამომდინარე ფულადი ნაკადების მიღების მიზნით.

სხვა შემთხვევებში, ფინანსური აქტივი აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით.

ამონაგების აღიარება

ამონაგები არის შემოსავალი, რომელიც წარმოიქმნება კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობისას. ამონაგები აღიარდება გარიგების ფასით. გარიგების ფასი არის ანაზღაურება, რომლის მიღებასაც კომპანია მოელის დაპირებულ საქონელზე ან მომსახურებაზე მომხმარებლისთვის კონტროლის გადაცემის შედეგად, მესამე მხარის სახელით ამოღებული თანხების გარეშე.

ამონაგები აღიარდება ფასდათმობების, საქონლის დაბრუნების დღე-ის, ექსპორტის საბაჟო გადასახადის, აქციის და სხვა მსგავსი სავალდებულო გადახდების გარეშე.

საქონლის გაყიდვა. გაყიდვა აღიარდება საქონელზე კონტროლის გადაცემისას, ანუ როდესაც საქონელი მიეწოდება მომხმარებელს, როცა მომხმარებელს სრული კონტროლი აქვს საქონელზე და არ არსებობს შეუსრულებელი მოვალეობა, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს მომხმარებლის მიერ საქონლის მიღებაზე. მიწოდება ხდება მაშინ, როდესაც საქონელი მიწოდებული იქნება კონკრეტულ ადგილზე, მოძველებისა და დაკარგვის რისკები მომხმარებელს გადაეცემა, მომხმარებელი მიიღებს საქონელს ხელშეკრულების შესაბამისად, ან მიღების ვადა ამოიწურება ან კომპანიას ობიექტური მტკიცებულება აქვს, რომ მიღებისთვის საჭირო ყველა კრიტერიუმი დაკმაყოფილებულია.

ფასდათმობით გაყიდვები აღიარდება ხელშეკრულებაში მითითებული ფასის საფუძველზე, შეფასებული ფასდათმობის გამოკლებით. ფასდათმობის შესაფასებლად დაგროვილ გამოცდილებას იყენებენ, მოსალოდნელი ღირებულების მეთოდის

მეშვეობით და ამონაგები აღიარდება მხოლოდ მაშინ, როდესაც მაღალია ალბათობა, რომ მნიშვნელოვანი დაბრუნება არ მოხდება. თანხის დაბრუნების ვალდებულება (რაც სავაჭრო და სხვა ვალდებულებაში აისახება) აღიარდება მოსალოდნელი მასშტაბის ფასდათმობისთვის, რაც მომხმარებლისთვის გადასახდელია საანგარიშგებო პერიოდის დასრულებამდე განხორციელებულ გაყიდვებთან დაკავშირებით.

მიიჩნევა, რომ დაფინანსების ელემენტი არ არსებობს, თუ გაყიდვები მოკლე პერიოდის საკრედიტო პირობით ხორციელდება, რაც ბაზარზე არსებული პრაქტიკის თანმიმდევრულია.

მოთხოვნა აღიარდება საქონლის მიწოდებისას, რადგან ეს არის დროის მომენტი, როდესაც ანაზღაურების მიღება უპირობოა, რადგან გადახდის განხორციელების ვადის დადგომამდე მხოლოდ დროის გასვლაა საჭირო.

დაფინანსების კომპონენტები. კომპანია არ მოელის ისეთი ხელშეკრულებების გაფორმებას, რომელთა მიხედვით საქონლის ან/და მომსახურების მომხმარებლისათვის გადაცემასა და მომხმარებლის მიერ საფასურის გადახდას შორის პერიოდი ერთ წელს აღემატება. აღნიშნულის გამო, კომპანია არ აკორექტირებს ოპერაციის ფასებს ფულის დროითი ღირებულების ფაქტორის მიხედვით.

საპროცენტო შემოსავალი. საპროცენტო შემოსავალი აღირიცხება ყველა სავალო ინსტრუმენტისთვის, გარდა სამართლიანი ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით შეფასებულისა, დარიცხვის საფუძველზე, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ამ მეთოდით საპროცენტო შემოსავლის სახით გადავადდება მხარეებს შორის ხელშეკრულების ყველა საკომისიო, რაც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია, ასევე ყველა პრემია ან ფასდათმობა. სამართლიანი ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით შეფასებული სავალო ინსტრუმენტების საპროცენტო შემოსავალი გამოითვლება ნომინალური საპროცენტო განაკვეთით და მოგება-ზარალში აისახება „ფინანსური შემოსავლის“ მუხლში.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის სამუშაო ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიკვლება სამუშაო ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება სამუშაო ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი მუხლები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტაში ასახული ფულადი მუხლების გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დასაქმებულ პირთა გასამრჯელოები

დასაქმებულ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით, თუ კომპანიას აქვს ამ თანხის სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება

დასაქმებულ პირთაგან წარსულში მიღებული მომსახურების/შესრულებული სამუშაოს საფუძველზე და ეს ვალდებულებები შეიძლება შეფასდეს საიმედოდ.

საეჭვო მოთხოვნების აღიარება

დებიტორული სავაჭრო დავალიანების გაუფასურება ხდება, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულებები, რომ კომპანია ვერ შეძლებს შესაბამისი მისაღები მოთხოვნების მიხედვით კუთვნილი თანხის სრულად ან ნაწილობრივ მიღებას.

ისეთი ოპერაციების შედეგად წარმოქმნილ სავაჭრო მოთხოვნებთან ან ან სახელშეკრულებო აქტივებთან დაკავშირებით, რომლებიც ფასს 15-ის მოქმედების სფეროს განეკუთვნება და ამასთან, ფასს 15-ის შესაბამისად არ შეიცავს მნიშვნელოვან დაფინანსების კომპონენტს (ან როდესაც კომპანია იყენებს პრაქტიკული ხასიათის გამარტივებულ მიდგომას ხელშეკრულებებისთვის, რომელთა ხანგრძლივობა ერთი წელი, ან ერთ წელზე ნაკლებია), გაუფასურების ზარალის რეზერვი ყოველთვის ფასდება თანხით, რომელიც არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ტოლია.

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვში ცვლილებების ოდენობა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშებზე.

გაუფასურებული მოთხოვნის ჩამოწერა აისახება არსებული გაუფასურების ზარალის რეზერვის ანგარიშზე.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში – საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) საინვესტიციო ქონების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ დღიდან, როცა დაიწყო ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება.

დ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთა დაერიცხება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

შენობები	- 20 წელი;
სატრანსპორტო საშუალებები	- 5 წელი;
კომპიუტერული ტექნიკა	- 5 წელი;
ავეჯი	- 5 წელი;
საოფისე მოწყობილობები	- 5 წელი;
სარეკლამო საშუალებები	- 5 წელი;
სხვა ძირითადი საშუალებები	- 15 წელი.

ე) არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით – 15%;

- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით არ ამორტიზდება.

ვ) მეკავშირე საწარმოები წარმოადგენენ კომპანიებს, რომლებშიც *კომპანია* ფლობს ხმის უფლების 20%-დან 50%-მდე, ან სხვაგვარად შესწევს უნარი მოახდინოს მნიშვნელოვანი ზემოქმედება სხვა საწარმოზე, მაგრამ რომელსაც ის არ აკონტროლებს.

ერთობლივი საწარმოები წარმოადგენენ კომპანიებს, რომლებსაც კომპანია აკონტროლებს სხვა პირებთან ერთად, რას ნიშნავს იმას, რომ გადაწყვეტილება ვერ იქნება მიღებული კომპანიის თანხმობის გარეშე.

მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოებში ინვესტიციები გაიანგარიშება წილობრივი მეთოდით. წილობრივი მეთოდის თანახმად, მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოში განხორციელებული ინვესტიცია თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით და შემდგომში მისი საბალანსო ღირებულება იზრდება ან მცირდება, რათა აისახოს შეძენის თარიღის შემდგომ პერიოდში ინვესტორის წილი ინვესტირებული საწარმოს მოგებაში ან ზარალში. ინვესტორის წილი ინვესტირებული საწარმოს მოგებაში, ან ზარალში აღიარდება ინვესტორის მოგებაში, ან ზარალში. ინვესტირებული საწარმოდან დივიდენდების ან სხვა სახის განაწილებული თანხების მიღება ამცირებს ინვესტიციის საბალანსო ღირებულებას.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

2.6. გადასახადები

მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე და გადავადებული მოგების გადასახადების ხარჯებს.

გადავადებული მოგების გადასახადი ან გადავადებული საგადასახადო აქტივი გამოითვლება საბალანსო ვალდებულებების მეთოდით ყველა იმ დროებითი სხვაობების გათვალისწინებით, რომლებშიც წარმოიქმნება ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებით გამოთვლილ აქტივსა (ვალდებულებებსა) და საგადასახადო კანონმდებლობის გათვალისწინებით გამოთვლილ აქტივებს (ვალდებულებებს) შორის.

მიმდინარე მოგების გადასახადი 2017 წლამდე გამოითვლებოდა საგადასახადო მოგებიდან (საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული საგადასახადო შემოსავლებსა და გამოსაქვით ხარჯებს შორის სხვაობიდან) მოგების გადასახადის მოქმედი განაკვეთის გამოყენებით.

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადით დაბეგვრის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ზოგიერთი გამონაკლისისა (ძირითადად – ფინანსური დაწესებულებებისა).

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, გარდა ზოგიერთი სახის საწარმოსი (მაგალითად, კომერციული ბანკები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, სესხის გამცემ სუბიექტად რეგისტრირებული პირები...), როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისი შემთხვევებისა, მაგალითად - ისეთი შვილობილი საწარმოების არსებობისას, რომლებიც არ არიან მოგების გადასახადით დაბეგვრის „ესტონურ მოდელზე“).

საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი არის 15% (საბანკო დაწესებულებების, საკრედიტო კავშირების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და სესხის გამცემი სუბიექტებისათვის - 20%).

2.7. წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის სამუშაო ვალუტა და აგრეთვე ის ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

2.8. გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.6894 ლარი; 1 EUR=2.9753 ლარი.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.7020 ლარი; 1 EUR=2.8844 ლარი.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=3.0976 ლარი; 1 EUR=3.5040 ლარი.

2023 წლის სამუშაო კურსები:

1 აშშ დოლარი = 2.6279 ლარი, 1 ევრო=2.8416 ლარი.

2022 წლის სამუშაო კურსები:

1 USD=2.9099 ლარი; 1 EUR=3.0684 ლარი.

2.9. ახალი და გადასინჯული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება

შემდეგი ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები შევიდა ძალაში 2023 წლის 1 იანვრიდან:

ფასს 17 - „სადაზღვევო ხელშეკრულებები“ - (გამოცემულია 2017 წლის 18 მაისს, ძალაში შედის 2023 წლის 1 იანვარს, ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის,)

შესწორებები ფასს 17-სთვის და შესწორება ფასს 4-სთვის (გამოცემულია 2020 წლის 25 ივნისს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდეგ წლიური პერიოდებისთვის).

გადასვლის ოფციონი მზღვეველებისთვის, რომლებიც იყენებენ ფასს 17-ს – ცვლილებები ფასს 17-ში (გამოცემულია 2021 წლის 9 დეკემბერს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).

ბასს 1-ში და ფასს-ის პრაქტიკულ დებულება 2-ში შეტანილი ცვლილებები: სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტება (გამოცემულია 2021 წლის 12 თებერვალს და

ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებულ წლიურ პერიოდებზე). ბასს 1-ში შეტანილია ცვლილებები, რათა კომპანიებს მოეთხოვოთ განმარტონ თავიანთი არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია და არა მათი მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა. შესწორებით გათვალისწინებული იქნა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის განსაზღვრება. შესწორებით ასევე განმარტეს, რომ სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაცია, სავარაუდოდ, არსებითი იქნება, თუ მის გარეშე, ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს არ შეეძლებათ გაეცნონ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ სხვა არსებით ინფორმაციას. შესწორებამ წარმოადგინა სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის საილუსტრაციო მაგალითები, რომლებიც, სავარაუდოდ, არსებითად ჩაითვლება საწარმოს ფინანსური ანგარიშგებისათვის. გარდა ამისა, ბასს 1-ში შესწორებით დაზუსტდა, რომ არაარსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება საჭირო არ არის. ამასთან, თუ იგი გამჟღავნდა, ეს არ უნდა ფარავდეს არსებით ინფორმაციას სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ. ამ შესწორების მხარდასაჭერად, ფასს-ის პრაქტიკული დებულება 2, „არსებითობის განსჯის განხორციელება“ ასევე შეიცვალა, რათა უზრუნველყოფილი ყოფილიყო სახელმძღვანელო მითითებები, თუ როგორ უნდა გამოყენებულიყო არსებითობის კონცეფცია სააღრიცხვო პოლიტიკის გამჟღავნებისას. კომპანია ამჟამად აფასებს ამ ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ბასს 8-ში შესწორებები: სააღრიცხვო შეფასებების განმარტება (გამოცემულია 2021 წლის 12 თებერვალს და მოქმედებს წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ). ბასს 8-ის დამატებითმა შესწორებამ განმარტა, თუ როგორ უნდა განასხვავონ კომპანიებმა სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებისაგან. კომპანია ამჟამად აფასებს ამ ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

გადავადებული გადასახადი დაკავშირებული აქტივებსა და ვალდებულებებთან რომლებიც წარმოიქმნება ერთი ოპერაციისგან - ბასს 12-ის შესწორებები (გამოცემულია 2021 წლის 7 მაისს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ბასს 12-ის შესწორებები განსაზღვრავს, თუ როგორ უნდა მოხდეს გადავადებული გადასახადის აღრიცხვა გარიგებებზე, როგორებიცაა იჯარები და ექსპლუატაციიდან ამოღების ვალდებულებები. განსაზღვრულ გარემოებებში, საწარმო თავისუფლდება გადავადებული გადასახადის აღიარებისგან, როდესაც ის პირველად აღიარებს აქტივებს ან ვალდებულებებს. უწინ, იყო გაურკვევლობა იმის თაობაზე, თავისუფლდებოდა თუ არა ისეთ გარიგებები, როგორებიცაა იჯარები და ექსპლუატაციიდან ამოღების ვალდებულებები - გარიგებები, რომელთათვისაც აღიარებულია როგორც აქტივი, ისე ვალდებულება. ცვლილებების თანახმად, გათავისუფლება არ ვრცელდება და სუბიექტები ვალდებული არიან აღიარონ გადავადებული გადასახადი ასეთ გარიგებებზე. ცვლილებების თანახმად, კომპანიები ვალდებული არიან აღიარონ გადავადებული გადასახადი გარიგებებზე, რომლებიც თავდაპირველი აღიარებისას წარმოშობენ დასაბეგრი და გამოსაქვითი დროებითი სხვაობების თანაბარ რაოდენობას. კომპანია ამჟამად აფასებს ამ ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ფასს 18: ფინანსური ანგარიშგებების წარდგენა და ინფორმაციის გამჟღავნება - მოთხოვნები:

- ახალი სავალდებულო ქვეჯამები მოგება-ზარალის ანგარიშგებაში „საოპერაციო მოგების“ ჩათვლით

- განმარტებითი შენიშვნები ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული საქმიანობის ინდიკატორების შესახებ
- გაფართოებული მითითებები ინფორმაციის დაჯგუფების შესახებ (აგრეგირებული და დეზაგრეგირებული)

ძალაში შესვლის თარიღი: წლიური ანგარიშგების პერიოდები იწყება 2027 წლის 1-ლ იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ, ადრეული გამოყენების დაშვებით.

ფასს 19: შვილობილი საწარმოები საჯარო ანგარიშვალდებულების გარეშე: განმარტებითი შენიშვნები - როგორ გამოვიყენოთ ფასს 19:

- ფასს 19 არის მხოლოდ გამჟღავნებასთან დაკავშირებული სტანდარტი. ის არ მოიცავს:

- აღიარების, შეფასების და წარდგენის მოთხოვნებს
- მითითებებს გამჟღავნების მოთხოვნების გამოყენებასთან დაკავშირებით
- აღიარების, შეფასების და წარდგენის მოთხოვნებთან დაკავშირებით შვილობილი საწარმო იხელმძღვანელებს ფასს აღრიცხვის შესაბამისი სტანდარტით.

ძალაში შესვლის თარიღი: წლიური ანგარიშგების პერიოდები იწყება 2027 წლის 1-ლ იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ, ადრეული გამოყენების დაშვებით.

ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომელთა მიღება სავალდებულოა 2024 წლის 1 იანვარს ან შემდგომ პერიოდებში და რომლებიც კომპანიას ნაადრევად არ გამოუყენებია, არის შემდეგი:

- **შესწორებები ფასს-16-ში: იჯარა: იჯარის ვალდებულება გაყიდვასა და უკუიჯარაში (გამოცემულია 2022 წლის 22 სექტემბერს და ძალაშია 2024 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის);**

- **ვალდებულებები გრძელვადიანად და მოკლევადიანად კლასიფიკაცია, ბასს 1-ის შესწორებები (თავდაპირველად გამოცემულია 2020 წლის 23 იანვარს და შემდგომში შესწორებულია 2020 წლის 15 ივლისს და 2022 წლის 31 ოქტომბერს, საბოლოოდ ძალაში შედის წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2024 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ);**

- **ბასს 7-ის „ფულადი ნაკადების ანგარიშგება“ და ფასს 7-ის „ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნები“ შესწორებები: მიმწოდებლის საფინანსო შეთანხმებები (გამოცემულია 2023 წლის 25 მაისს და ძალაშია 2024 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის);**

- **შესწორებები ბასს 21-ში, ვალუტის გაცვლის შესაძლებლობის ნაკლებობა (გამოცემულია 2023 წლის 15 აგვისტოს და ძალაშია 2025 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის);**

- **ინვესტორსა და მის მეკავშირე საწარმოს, ან ერთობლივ საწარმოს შორის აქტივების გაყიდვა, ან შეტანა - ცვლილებები ფასს 10-ში და ბასს 28-ში (გამოცემულია 2014 წლის 11 სექტემბერს და ძალაში შესვლის თარიღი არ არის ცნობილი).**

მოსალოდნელი არ არის, რომ ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს ჩვენი კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

3.1. ფული და ფულის ეკვივალენტები:

	31.12.2023	31.12.2022	01.01.2022
ლარი საბანკო ანგარიშებზე	-	1 436 293	1 036 237
ევრო საბანკო ანგარიშებზე	302 146	1 261 670	-
აშშ დოლარი საბანკო ანგარიშებზე	3 371 383	7 015 366	-
სულ ფულადი ნაშთები საბანკო ანგარიშებზე	3 673 529	9 713 329	1 036 237
ფული სალაროში ლარებში	27	448	13
სულ ფულადი ნაშთები სალაროში	27	448	13
სულ	3 673 556	9 713 777	1 036 250

3.2. სავაჭრო მოთხოვნები:

	31.12.2023	31.12.2022	01.01.2022
მოთხოვნები რეზიდენტი პირების მიმართ	986 183	1 431 943	966 275
მოთხოვნები არარეზიდენტი პირების მიმართ	11 743 069	8 032 517	927 050
სულ	12 729 252	9 464 460	1 893 325

3.3. გადახდილი ავანსები და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები:

	31.12.2023	31.12.2022	01.01.2022
რეზიდენტი პირებისთვის გადახდილი ავანსები	10 026	4 929	778
არარეზიდენტი პირებისთვის გადახდილი ავანსები	36 504 318	28 219 459	3 085 290
სხვა მოკლევადიანი აქტივები	3 615	9 570	46
სულ	36 517 959	28 233 958	3 086 114

3.4. მარაგები:

	31.12.2023	31.12.2022	01.01.2022
გასაყიდად გამიზნული საქონელი	4 664 688	5 697 370	3 584 154
სხვა მარაგები	3 756	816	894
სულ	4 668 444	5 698 186	3 585 048

3.5. გამოყენების უფლების მქონე აქტივი:

იჯარით აღებულია ფართი, რომელიც გამოყენებულია საოფისედ.

	2023 წელი
აქტივი	
აქტივების გამოყენების უფლება 31.12.2022	113 123
აქტივების გამოყენების უფლების მატება/(შემცირება)	-
აქტივების გამოყენების უფლების ცვეთის ხარჯი	(28 281)
სულ ხარჯები:	(28 281)
მათ შორის: ხარჯები აღიარებული მიმდინარე პერიოდის	(28 281)
ხარჯად	
აქტივების გამოყენების უფლება 31.12.2023	84 842

ვალდებულება	
საიჯარო ვალდებულებები 31.12.2022	108 456
საიჯარო ვალდებულების მატება/(შემცირება)	-
საიჯარო ვალდებულებებთან დაკავშირებული საპროცენტო ხარჯი	11 104
საკურსო (შემოსავალი)/ხარჯი უცხოურ ვალუტაში	(927)
აღრიცხული საიჯარო ვალდებულებიდან	
სულ ხარჯები:	10 177
მათ შორის: ხარჯები აღიარებული მიმდინარე პერიოდის ხარჯად	10 177
საიჯარო ვალდებულების დაფარვა	(32 739)
საიჯარო ვალდებულებები 31.12.2023	85 893

საიჯარო ვალდებულებების დაფარვის ვადების ანალიზი		
ვადადამდგარი	1 წლამდე	1-5 წლამდე
3627	38727	77,455

	2022 წელი
აქტივი	
აქტივების გამოყენების უფლება 31.12.2021	-
აქტივების გამოყენების უფლების მატება/(შემცირება)	141 403
აქტივების გამოყენების უფლების ცვეთის ხარჯი	(28 281)
სულ ხარჯები:	(28 281)
მათ შორის: ხარჯები აღიარებული მიმდინარე პერიოდის	(28 281)
ხარჯად	
აქტივების გამოყენების უფლება 31.12.2022	113 123

ვალდებულება	
საიჯარო ვალდებულებები 31.12.2021	-
საიჯარო ვალდებულების მატება/(შემცირება)	146 138
საიჯარო ვალდებულებებთან დაკავშირებული საპროცენტო ხარჯი	14 959
საკურსო (შემოსავალი)/ხარჯი უცხოურ ვალუტაში	(16 604)
აღრიცხული საიჯარო ვალდებულებიდან	
სულ ხარჯები:	(1 645)
მათ შორის: ხარჯები აღიარებული მიმდინარე პერიოდის ხარჯად	(1 645)
საიჯარო ვალდებულების დაფარვა	(36 037)
საიჯარო ვალდებულებები 31.12.2022	108 456

საიჯარო ვალდებულებების დაფარვის ვადების ანალიზი		
ვადადამდგარი	1 წლამდე	1-5 წლამდე
4238	38909	116,726

3.6. ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში:

მეკავშირე საწარმოში (20% წილობრივი მონაწილეობით) წილობრივი მეთოდით დაანგარიშებული ინვესტიცია შეადგენს 2023 წლის ბოლოს: 8,039,600 ლარი (2022 წლის ბოლოს: 4,920,586 ლარი).

	31 დეკემბერი, 2023 წ.	31 დეკემბერი, 2022 წ.	01 იანვარი, 2022 წ.
<i>მოკლევადიანი აქტივები</i>			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	9 813 790	2 292 382	-
სხვა მოკლევადიანი აქტივები	9 714 048	5 824 380	-
გრძელვადიანი აქტივები	40 437 106	42 769 026	-
<i>მოკლევადიანი ვალდებულებები</i>			
მოკლევადიანი სესხები	17 173 417	17 010 525	-
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	5 886 994	11 458 488	-
გრძელვადიანი ვალდებულებები			-
გრძელვადიანი სესხები	9 660 483	10 640 581	-

	2023 წელი	2022 წელი
ამონაგები	59 644 605	38 666 261
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯები	3 587 690	4 818 486
საპროცენტო ხარჯი	(229 233)	(85 455)
მოგების გადასახადის ხარჯი	(13 608)	(9 353)
წლის წმინდა მოგება	15 595 072	1 535 091
სხვა სრული შემოსავალი	-	-
წლის სრული შემოსავალი	15 595 072	1 535 091

3.7. სავაჭრო ვალდებულებები:

	31.12.2023	31.12.2022	01.01.2022
სავაჭრო ვალდებულებები რეზიდენტი მომწოდებლების მიმართ	81 350	79 368	85 260
სავაჭრო ვალდებულებები არარეზიდენტი მომწოდებლების მიმართ	12 790 460	7 745 165	832 559
სულ	12 871 810	7 824 533	917 819

3.8. სახელშეკრულებო ვალდებულებები:

ცხრილი გვიჩვენებს საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში აღიარებულ ამონაგებს, რომელიც მოიცავს შესადარის პერიოდში აღიარებული სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებას.

	2023 წელი	2022 წელი
01 იანვარი	40 417 100	45
საკონტრაქტო ვალდებულების საწყისი ნაშთიდან	(40 113 389)	(37)
აღიარებული ამონაგები		
დამატებითი ღირებულების გადასახდის ეფექტი	(94)	(7)
მიღებული ავანსი, რომლისთვისაც არ აღიარებულა შემოსავალი მიმდინარე პერიოდში	38 292 275	40 417 099
31 დეკემბერი	38 595 892	40 417 100

3.9. მოკლევადიანი სესხები:

	31.12.2023	31.12.2022	01.01.2022
სესხის ძირი ფინანსური ინსტიტუტის მიმართ	1 253 870	1 150 000	1 150 000
სესხის პროცენტი ფინანსური ინსტიტუტის მიმართ	1 329	876	1 060
გრძელვადიანი სესხის მოკლევადიანი ნაწილი	2 491 028	-	-
იურიდიული პირის მიმართ			
სულ	3 746 227	1 150 876	1 151 060

კომპანიის მოკლევადიანი სესხი წარმოადგენს სს თიბისი ბანკისგან აღებულ სესხს, რომლის საკონტრაქტო ღირებულება 2022 წლის ბოლოს შეადგენს 1 150 000 ლარს 13,90% წლიური საპროცენტო სარგებლით, ხოლო 2023 წლის ბოლოს - 1 500 000 ლარს 12,90% წლიური საპროცენტო სარგებლით.

კომპანიის კუთვნილ აქტივებზე – მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე გირავნობა/ლიზინგის უფლება წარმოშობილი აქვს სს „თიბისი ბანკ“ (ს/ნ 204854595), რომლის საფუძველია:

- არაიდენტიფიცირებული მოძრავი ნივთი: გირავნობის ხელშეკრულების 1-ლ და მე-2 მუხლში არსებული/სამომავლო მოძრავი ქონება. გირავნობის ხელშეკრულება, 1231231748771, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, 171145464, 28.09.2017;
- არამატერიალური ქონებრივი სიკეთე: გირავნობის ხელშეკრულების მე-2 მუხლის 2.1.2 ქვეპუნქტში მითითებული ყველა და ნებისმიერი არსებული და მომავალში შეძენილი დებიტორული მოთხოვნის უფლებები. არაიდენტიფიცირებადი მოძრავი ნივთი: გირავნობის ხელშეკრულების მე-2 მუხლის 2.1.2 ქვეპუნქტში მითითებული მთელი და ნებისმიერი არსებული და მომავალში შეძენილი მარაგები სრულად. გირავნობის ხელშეკრულება, 1231232306262, ნოტარიუსი მედეა გვაზავა, 180589533, 23.05.2018;
- არაიდენტიფიცირებადი მოძრავი ნივთი: გირავნობის ხელშეკრულების მე-2 მუხლის 2.1.2 ქვეპუნქტში მითითებული მთელი და ნებისმიერი არსებული და მომავალში შეძენილი მარაგები სრულად არამატერიალური ქონებრივი სიკეთე: გირავნობის ხელშეკრულების მე-2 მუხლის 2.1.2 ქვეპუნქტში მითითებული ყველა და ნებისმიერი არსებული და მომავალში შეძენილი დებიტორული მოთხოვნის უფლებები. გირავნობის ხელშეკრულება, 1231232743634, ნოტარიუსი მედეა გვაზავა, 190987319, 20.08.2019.

3.10. გრძელვადიანი სესხები:

	31.12.2023	31.12.2022	01.01.2022
სესხი იურიდიული პირის მიმართ	-	2 388 141	3 113 789
სულ	-	2 388 141	3 113 789

კომპანიის გრძელვადიანი სესხი წარმოადგენს KlionGroup FTC LTD-სგან მიღებულ უპროცენტო სესხს აშშ დოლარში.

3.11. განთავსებული კაპიტალი:

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს „კლიონ ჯორჯიას“ წესდებით განსაზღვრული განთავსებული კაპიტალი არ აქვს (ნულია), რაც დაშვებულია საქართველოს კანონმდებლობით.

3.12. ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან:

	2023	2022
მიწოდება საქართველოს ტერიტორიაზე	14 797 837	17 792 434
მიწოდება საქართველოს საზღვრებს გარეთ	146 086 632	77 574 722
სულ	160 884 469	95 367 156

ცხრილი გვიჩვენებს ამონაგების ფორმირებას რეალიზებული პროდუქციის სახეობების მიხედვით.

	2023	2022
თევზი	160 055 042	94 512 957
ხორცი და ნახევარფაბრიკატები	829 427	854 200
სულ	160 884 469	95 367 156

3.13. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება:

	2023	2022
თევზი	154,646,395	88,428,745
სხვა მარაგების თვითღირებულება	780,815	818,960
	155,427,210	89,247,705

3.14. მიწოდების ხარჯები:

	2023	2022
ტრანსპორტირების ხარჯები	3 042 915	1 481 899
საწყობის ხარჯი	482 605	611 019
მიწოდების სხვა ხარჯი	16 698	2 864
	3 542 218	2 095 782

3.15. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები:

	2023	2022
ხელფასის ხარჯი	312 226	324 589
ბანკის საკომისიო	77 923	40 634
სერვერის ხარჯი	60 216	39 549
აქტივების გამოყენების უფლების ამორტიზაცია	28 281	28 281
საკონსულტაციო ხარჯი	49 749	31 786
ცვეთის ხარჯი	10 384	12 102
კომპიუტერის ხარჯი	15 122	47 349
იჯარის ხარჯი	8 779	9 328
კომუნიკაციის ხარჯი	5 440	5 788
რემონტის ხარჯი	1 821	2 914
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	2 310	3 158
	572 251	545 478

ვინაიდან 2022 წელთან მიმართებით კომპანია წარმოადგენდა მესამე კატეგორიის საწარმოს, ამიტომ ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩატარება არ ევალებოდა და შესაბამისი ხარჯი არ გაუწევია.

3.16. ფინანსური შემოსავალი:

	2023	2022
დეპოზიტზე დარიცხული საპროცენტო შემოსავალი	8 156	28 843
დაფინანსებიდან წარმოქმნილი შემოსავალი (დისკონტირების გამო)	-	547 938
სხვა ფინანსური შემოსავალი	262 438	-
	270 594	576 781

3.17. ფინანსური ხარჯი:

	2023	2022
ფინანსური ინსტიტუტების საპროცენტო ხარჯი	75 442	20 486
იურიდიული პირის საპროცენტო ხარჯი	158 581	149 979
ფინანსური იჯარა	11 105	14 959
	245 128	185 424

3.18. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი):

	2023	2022
კრედიტორული დავალიანების ჩამოწერა ან კორექტირება	545 118	463 732
შემოსავალი კონვერტაციიდან	3 909	22 788
სხვა შემოსავლები	-	8 650
სხვა ხარჯები	(18 635)	(35 439)
	530 392	459 731

3.19. საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი ფულადი ნაკადების შეჯერება ვალდებულებების მოძრაობასთან:

სასესხო და სხვა ფინანსური ვალდებულება	ვალდებულება 31.12.2022-მდე	ვალდებულების შემცირება	დადებითი საგურსო სხვაობა	ვალდებულების აღება	პროცენტის დარიცხვა	ვალდებულება 31.12.2023-მდე
	GEL	GEL	GEL	GEL	GEL	GEL
სასესხო ვალდებულება ფინანსური ინსტიტუტის მიმართ	1 150 875	12 144 248	-	12 173 129	75 442	1 255 199
სასესხო ვალდებულება იურიდიული პირის მიმართ	2 388 141	-	55 694	-	158 581	2 491 028
საოჯარო ვალდებულებასთან დაკავშირებული გადახდები	103 722	32 739	927	-	11 104	81 159
სულ:	3 642 738	12 176 987	56 621	12 173 129	245 127	3 827 386

სასესხო და სხვა ფინანსური ვალდებულება	ვალდებულება 31.12.2021-მდე	ვალდებულების შემცირება	დადებითი საგურსო სხვაობა	ვალდებულების აღება	პროცენტის დარიცხვა	ვალდებულება 31.12.2022-მდე
	GEL	GEL	GEL	GEL	GEL	GEL
სასესხო ვალდებულება ფინანსური ინსტიტუტის მიმართ	1 151 060	5 978 672	-	5 958 001	20 486	1 150 875
სასესხო ვალდებულება იურიდიული პირის მიმართ	3 113 789	547 938	327 689	-	149 979	2 388 141
საოჯარო ვალდებულებასთან დაკავშირებული გადახდები	-	36 037	16 604	141 403	14 959	103 722
სულ:	4 264 849	6 562 646	344 293	6 099 404	185 424	3 642 738

3.20. ფინანსური ანგარიშგების შესადარისი ინფორმაციის ცვლილებები

2022 წლის მონაცემებით კომპანია წარმოადგენდა მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონის მოთხოვნების შესაბამისად კომპანიამ წარადგინა მსს ფასს-ით მომზადებული 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდის აუდიტებული ფინანსური ანგარიშგება. კომპანიამ მიიღო გადაწყვეტილება 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდის ანგარიშგება მოამზადოს ფასს-ების სრული ვერსიის მიხედვით. ამის გამო კომპანიამ 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გადაიანგარიშა როგორც 2023 წლის, ასევე შესადარისი 2022 წლის ნაშთები და ბრუნვები,

აგრეთვე გაასწორა წინა პერიოდის შეცდომები და გააკეთა რეკლასიფიკაციები. აღნიშნული შესწორებულ იქნა თითოეული შესაბამისი ფინანსური ანგარიშგების მუხლის შესწორებით წინა პერიოდში. შემდეგი ცხრილი აჯამებს აღნიშნული ცვლილებების გავლენას შესაბამის მუხლზე:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

1 ლარის სიზუსტით	შეცდომების გასწორებით და რეკლასიფიკაციით გამოწვეული ცვლილებების გავლენა		
	წარდგენილი	კორექტირება	გადასინჯული
01.01.2022			
მოკლევადიანი აქტივები:			
გადახდილი ავანსები და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	3 179 094	(92 980)	3 086 114
საგადასახადო აქტივები	-	72 297	72 297
მოკლევადიანი აქტივები სულ:	9 693 717	(20 683)	9 673 034
მოკლევადიანი ვალდებულებები:			
საფაქრო ვალდებულებები	918 702	(883)	917 819
მოკლევადიანი სესხები	1 150 000	1 060	1 151 060
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	83 109	(77 699)	5 410
მოკლევადიანი ვალდებულებები სულ:	2 151 856	(77 522)	2 074 334
გრძელვადიანი ვალდებულებები:			
გრძელვადიანი სესხები	3 035 841	77 948	3 113 789
გრძელვადიანი ვალდებულებები სულ:	3 035 841	77 948	3 113 789
მესაკუთრეთა კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება/(დაუფარავი ზარალი)	4 538 133	(21 109)	4 517 024
მესაკუთრეთა კაპიტალი სულ:	4 538 133	(21 109)	4 517 024

1 ლარის სიზუსტით	შეცდომების გასწორებით და რეკლასიფიკაციით გამოწვეული ცვლილებების გავლენა		
	წარდგენილი	კორექტირება	გადასინჯული
31.12.2022			
მოკლევადიანი აქტივები:			
საფაქრო მოთხოვნები	9 473 510	(9 050)	9 464 460
გადახდილი ავანსები და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	28 255 474	(21 516)	28 233 958
საგადასახადო აქტივები	-	17 543	17 543
მოკლევადიანი აქტივები სულ:	53 140 947	(13 023)	53 127 924
გრძელვადიანი აქტივები:			
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	5 014 199	(5 014 199)	-
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში	-	4 920 586	4 920 586
გრძელვადიანი აქტივები სულ:	5 039 755	(93 613)	4 946 142
მოკლევადიანი ვალდებულებები:			
საფაქრო ვალდებულებები	5 693 189	2 131 344	7 824 533
მოკლევადიანი სესხები	1 150 000	876	1 150 876
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	2 217 017	(2 209 131)	7 886
მოკლევადიანი ვალდებულებები სულ:	49 477 306	(76 911)	49 400 395
გრძელვადიანი ვალდებულებები:			
გრძელვადიანი სესხები	2 648 128	(259 987)	2 388 141
გრძელვადიანი ვალდებულებები სულ:	2 648 128	(259 987)	2 388 141
მესაკუთრეთა კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება/(დაუფარავი ზარალი)	6 091 305	230 262	6 321 567
მესაკუთრეთა კაპიტალი სულ:	6 091 305	230 262	6 321 567

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

1 ლარის სიზუსტით	შეცდომების გასწორებით და რეკლასიფიკაციით გამოწვეული ცვლილებების გავლენა		
2022	წარდგენილი	კორექტირება	გადასინჯული
რეალიზებული საქონლის და მომსახურების თვითღირებულება	(90 475 966)	1 228 261	(89 247 705)
მოგება ძირითადი საქმიანობიდან	4 891 190	1 228 261	6 119 451
მიწოდების ხარჯი	-	(2 095 782)	(2 095 782)
იჯარის ხარჯი	(630 393)	630 393	-
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(525 003)	48 440	(476 563)
მოგება საოპერაციო საქმიანობიდან	3 735 794	(188 688)	3 547 106
ფინანსური შემოსავალი	-	576 781	576 781
ფინანსური ხარჯი	(20 487)	(149 978)	(170 465)
მოგება/(ზარალი) საკუროს სხვაობებიდან	-	(2 626 241)	(2 626 241)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)	(2 162 135)	2 581 231	419 096
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე	1 553 172	193 105	1 746 277
მოგების გადასახადი	-	-	-
წლის წმინდა მოგება	1 553 172	193 105	1 746 277

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

1 ლარის სიზუსტით	ფასს-ებზე გადასვლით გამოწვეული ცვლილებების გავლენა		
31.12.2022	წარდგენილი	კორექტირება	გადასინჯული
გრძელვადიანი აქტივები:			
გამოყენების უფლების მქონე აქტივი	-	113 123	113 123
გრძელვადიანი აქტივები სულ:	-	113 123	113 123
მოკლევადიანი ვალდებულებები:			
საიჯარო ვალდებულების მიმდინარე ნაწილი	-	21 070	21 070
მოკლევადიანი ვალდებულებები სულ:	-	21 070	21 070
გრძელვადიანი ვალდებულებები:			
საიჯარო ვალდებულების გრძელვადიანი ნაწილი	-	82 652	82 652
გრძელვადიანი ვალდებულებები სულ:	-	82 652	82 652
მესაკუთრეთა კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება/(დაუფარავი ზარალი)	(36 037)	9 401	(26 636)
მესაკუთრეთა კაპიტალი სულ:	(36 037)	9 401	(26 636)

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

1 ლარის სიზუსტით	ფასს-ებზე გადასვლით გამოწვეული ცვლილებების გავლენა		
2022	წარდგენილი	კორექტირება	გადასინჯული
იჯარის ხარჯი	(36 037)	36 037	-
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	-	(28 281)	(28 281)
აქტივების გამოყენების უფლების ამორტიზაცია	-	(28 281)	(28 281)
მოგება საოპერაციო საქმიანობიდან	(36 037)	7 756	(28 281)
ფინანსური ხარჯი	-	(14 959)	(14 959)
მოგება/(ზარალი) საკუროს სხვაობებიდან	-	16 604	16 604
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე	(36 037)	9 401	(26 636)
მოგების გადასახადი	-	-	-
წლის წმინდა მოგება	(36 037)	9 401	(26 636)

3.21. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულების წინასწარი გაანგარიშება მიზნად ისახავს სავარაუდო ფასის მიახლოებით განსაზღვრას, რომელიც მიღებული იქნება აქტივის გასაყიდად ან გადახდილი იქნება ვალდებულების გადაცემისთვის თანმიმდევრული ტრანზაქციის გზით ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების დღეს. ამასთან, გაურკვევლობის გათვალისწინებით და სუბიექტური განსჯის მეშვეობით, სამართლიანი ღირებულება არ უნდა იქნეს გაგებული როგორც დაუყოვნებლივ რეალიზებადი, აქტივების ნასყიდობის გზით ან ვალდებულებათა გადაცემის მეშვეობით.

კომპანიამ განსაზღვრა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებები შეფასების გზით. შეფასების მიზანია სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა, რომელიც ასახავს ფასს, რომელიც უნდა იქნეს მიღებული აქტივის გასაყიდად ან გადახდილი ვალდებულების გადაცემისთვის თანმიმდევრული ტრანზაქციის ფარგლებში ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების დღეს.

ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება მიახლოებით მათი საბალანსო ღირებულების ტოლია.

3.22. რისკების მართვა

მმართველობითი სისტემა

კომპანიის რისკისა და ფინანსური მართვის სისტემის მთავარი მიზანია დაცვა ისეთი მოვლენებისგან, რომლებიც აზრკოლებს კომპანიის მიზნების მიღწევას და შესაძლებლობების გამოყენებას. კომპანია აცნობიერებს რისკების ეფექტიანი მართვის სისტემის მნიშვნელობას. დანერგილია პოლიტიკა, რომელიც განსაზღვრავს კომპანიის რისკზე ორიენტირებულობას, რისკის მართვას, კონტროლსა და საქმიანობის სტანდარტებს.

კომპანია დგას შემდეგი რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკი;
- ლიკვიდურობის რისკი;
- საბაზრო რისკი.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს რისკს, როდესაც ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა იწვევს მეორე მხარის ფინანსურ ზარალს. კომპანია მართავს საკრედიტო რისკის დონეს, რისთვისაც შემუშავებული აქვს საკრედიტო რისკის საერთო პოლიტიკა, რომელშიც შეფასებული და განსაზღვრულია, რა წარმოადგენს კომპანიისთვის საკრედიტო რისკს.

კომპანიის მომხმარებლების შესახებ არ არსებობს გამოქვეყნებული საკრედიტო რეიტინგები. აქედან გამომდინარე, კომპანია მომხმარებლებთან დაკავშირებული საკრედიტო რისკის მართვას ახდენს ინდივიდუალური მომხმარებლების შესახებ ინფორმაციის შეგროვებს გზით (სადაც ეს შესაძლებელია) და მომხმარებლებისთვის, მათთან წარსული ურთიერთობის გამოცდილების გათვალისწინებით, დებიტორულ დავალიანების სიდიდეზე ლიმიტის დაწესების გზით.

კომპანია მომხმარებლებისგან არ მოითხოვს სავაჭრო მოთხოვნების უზრუნველყოფას.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ კომპანიას შეეძლება სირთულეები მიმდინარე ფინანსური ვალდებულებების დაფარვის საკონტრაქტო პირობების შესრულებისას, რამაც შესაძლოა, მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს კომპანიის ფუნქციონირებაზე. ლიკვიდურობის რისკის წინდახედული მექანიზმი გულისხმობს საკმარისი თანხისა და საკრედიტო რესურსების ქონას, რათა დაკმაყოფილებულ იქნას ბაზრის მოთხოვნები.

ცხრილში წარმოდგენილია კომპანიის ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული არადისკონტირებული სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები მათი ვადიანობის მიხედვით.

31.12.2023

	0 - 12 თვე	1-დან 5 წელამდე	ჯამი
სავაჭრო მოთხოვნები	12 729 252	-	12 729 252
სავაჭრო ვალდებულებები	12 871 810	-	12 871 810
ნასესხები თანხები	3 746 227	-	3 746 227
მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი	29 347 289	-	29 347 289

31.12.2022

	0 - 12 თვე	1-დან 5 წელამდე	ჯამი
სავაჭრო მოთხოვნები	9 464 460	-	9 464 460
სავაჭრო ვალდებულებები	7 824 533	-	7 824 533
ნასესხები თანხები	1 150 876	2 388 141	3 539 017
მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი	18 439 869	2 388 141	20 828 010

01.01.2022

	0 - 12 თვე	1-დან 5 წელამდე	ჯამი
სავაჭრო მოთხოვნები	1 893 325	-	1 893 325
სავაჭრო ვალდებულებები	917 819	-	917 819
ნასესხები თანხები	1 151 060	3 113 789	4 264 849
მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი	3 962 204	3 113 789	7 075 993

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გავლენით.

საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტიანი, სავაჭრო ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევეს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის გამო (სავალუტო რისკი).

საპროცენტო რისკი

საპროცენტო რისკი არის რისკი (ცვალებადი ღირებულებით), რომელსაც ატარებს პროცენტიანი აქტივი, როგორცაა სესხი, მცოცავი საპროცენტო განაკვეთის არსებობის გამო. საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიქმნება, როდესაც მოცემული ვადიანობის ფაქტობრივი ან მოსალოდნელი აქტივები მეტია ან ნაკლებია იმავე ვადიანობის ფაქტობრივ ან მოსალოდნელ ვალდებულებებზე.

რაოდენობრივი ანალიზი საპროცენტო რისკებთან დაკავშირებით არ ჩატარებულა, რადგან 2023 წლის ბოლოს აქვს სასესხო ვალდებულება უპროცენტო სესხი იურიდიული პირის წინაშე, აგრეთვე ფინანსური ინსტიტუტის წინაშე, რომელზეც საპროცენტო განაკვეთის შეცვლა არ არის მოსალოდნელი.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებით. სავალუტო რისკი გავლენას ახდენს კომპანიის ფინანსური რისკების განსაზღვრაზე.

კომპანია ატარებს სავალუტო რისკს, რომელიც დაკავშირებულია მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებთან.

მგრძნობელობის ანალიზი

ლარის შესაძლო გამყარება/შესუსტება, როგორც ეს ქვემოთაა ნაჩვენები, ევროს, აშშ დოლარისა და რუსული რუბლის მიმართ 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გავლენას მოახდენს უცხოურ ვალუტაში აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტების შეფასებაზე და კაპიტალზე და მოგება/ზარალზე გადასახადების შემდეგ ქვემოთ მოცემული თანხების ოდენობით. სავალუტო დინამიკა პირდაპირ გავლენას არ მოახდენს სხვა მთლიან შემოსავალსა თუ კაპიტალზე.

ანალიზის თანახმად ივარაუდება, რომ ყველა სხვა ცვლადები, განსაკუთრებით საპროცენტო განაკვეთები, რჩება უცვლელი და არ ითვალისწინებს პროგნოზული გაყიდვების და შესყიდვების ზემოქმედებას.

	31 დეკემბერი, 2023 წ.		
	EURO	USD	სულ
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	302 146	3 371 383	3 673 529
სავაჭრო მოთხოვნები	1 472 999	10 270 070	11 743 069
აქტივები სულ:	1 775 146	13 641 453	15 416 599
სავაჭრო ვალდებულებები	7 237 295	5 553 392	12 790 686
საიჯარო ვალდებულების მიმდინარე ნაწილი	-	23 097	23 097
მოკლევადიანი სესხები	-	2 491 028	2 491 028
საიჯარო ვალდებულების გრძელვადიანი ნაწილი	-	58 063	58 063
ვალდებულებები სულ:	7 237 295	8 125 580	15 362 874
ნეტო შედეგი	(5 462 149)	5 515 873	53 724
Euro (10% ცვლილება)		(546 215)	
USD (10% ცვლილება)		551 587	

31 დეკემბერი, 2022 წ.

	EURO	USD	სულ
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1 261 670	7 015 365	8 277 035
სავაჭრო მოთხოვნები	1 215 701	6 816 816	8 032 517
აქტივები სულ:	2 477 372	13 832 180	16 309 552
სავაჭრო ვალდებულებები	3 622 803	4 122 589	7 745 392
საიჯარო ვალდებულების მიმდინარე ნაწილი	-	21 070	21 070
გრძელვადიანი სესხები	-	2 388 141	2 388 141
საიჯარო ვალდებულების გრძელვადიანი ნაწილი	-	82 652	82 652
ვალდებულებები სულ:	3 622 803	6 614 452	10 237 255
ნეტო შედეგი	(1 145 431)	7 217 728	6 072 297
Euro (10% ცვლილება)		(114 543)	
USD (10% ცვლილება)		721 773	

01 იანვარი, 2022 წ.

	EURO	USD	სულ
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	-	-	0
სავაჭრო მოთხოვნები	187 396	739 654	927 050
აქტივები სულ:	187 396	739 654	927 050
სავაჭრო ვალდებულებები	-	832 820	832 820
საიჯარო ვალდებულების მიმდინარე ნაწილი	-	-	-
გრძელვადიანი სესხები	-	3 113 789	3 113 789
საიჯარო ვალდებულების გრძელვადიანი ნაწილი	-	-	-
ვალდებულებები სულ:	-	3 946 609	3 946 609
ნეტო შედეგი	187 396	(3 206 956)	(3 019 559)
Euro (10% ცვლილება)		18 740	
USD (10% ცვლილება)		(320 696)	

3.23. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

განხორციელებული ტრანზაქციები დირექტორთან და პარტნიორთან

	ტრანზაქციის ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდი	დაუფარავი ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდი	ტრანზაქციის ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდი	დაუფარავი ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდი
კრედიტორული დავალიანება	-	615 419		67 993
მიღებული სესხები	2 491 028	-	-	-
ხელფასის ხარჯები და პრემიები	47 400	-	47 400	-
საპროცენტო ხარჯი	120 154	-		-

ტრანზაქციები სხვა დაკავშირებულ მხარეებთან

	ტრანზაქციის ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდი	დაუფარავი ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდი	ტრანზაქციის ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდი	დაუფარავი ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდი
კრედიტორული დავალიანება	-	6 715 454	-	5 096
დებიტორული დავალიანება	-	10 467 602	-	8 032 067
სახელშეკრულებო ვალდებულებები	-	38 198 319	-	34 602 688
გადახდილი ავანსები	-	32 035	-	330 357
საქონლისა და მომსახურების შესყიდვები	1 190 869	-	552 100	-
საქონლისა და მომსახურების მიყიდვა	144 452 439	-	77 512 029	-

ბასს 24-ის („დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“) მიხედვით, მხარეები ითვლებიან დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. შესაძლო დაკავშირებული მხარეების თითოეული შემთხვევის განხილვისას ყურადღება უნდა მიექცეს არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას, არამედ იმასაც, თუ როგორია მათ შორის ურთიერთობა. დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ განხორციელდეს იმავე პირობებზე და თანხებზე, როგორზეც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის.

3.24. გაუთვალისწინებელი გარემოებები

სასამართლო დავები

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანია არ მონაწილეობდა სასამართლო დავებში არც მოსარჩლის და არც მოპასუხის სახით.

3.25. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ, 2024 წელს, კომპანიამ სრულად გაასხვისა მისი კუთვნილი 20% წილი მეკავშირე საწარმოში.

კომპანიამ 2024 წლის განმავლობაში მთლიანად დაფარა KlionGroup FTC LTD-სგან აღებული გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულება, რომელიც შეადგენდა 1 005 226 აშშ დოლარს.

გარდა ზემოაღნიშნულისა, სხვა რაიმე სახის მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც გამოიწვევდა ფინანსური ანგარიშგების შესწორებას ან/და განმარტებით შენიშვნებში ასახვას, საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ, 2025 წლის 12 მარტამდე, არ მომხდარა

3.26. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილი და გამოსაცემად ნებადართულია 2025 წლის 12 მარტს კომპანიის მენეჯმენტის მიერ. კომპანიის ხელმძღვანელობას უფლება აქვს შეცვალოს ფინანსური ანგარიშგება მისი გამოშვების შემდეგ.

შპს „კლიონ ჯორჯია“
2023 წლის მმართველობითი ანგარიში
(საქმიანობის მიმოხილვა)

შპს „კლიონ ჯორჯია“ (საიდენტიფიკაციო ნომერი 405118581) რეგისტრირებულია 2015 წლის 29 სექტემბერს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

პარტნიორ-დამფუძნებლებს, რომლებსაც აქვთ დიდი გამოცდილება გაცივებული და გაყინული თევზისა და ზღვის პროდუქტების ვაჭრობის სფეროში, მიზნად აქვთ დასახული ზემოაღნიშნული საქონლით ვაჭრობით მოგების მიღება.

კომპანია არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის პარტნიორია არარეზიდენტი კომპანია **KlionGroup FTS LTD** (რეგისტრაციის ნომერი HE439111, კვიპროსის რესპუბლიკა) და ფლობს 100% წილს.

კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 0 (ნული) ლარს, რაც დასაშვებია საქართველოს სამეწარმეო კანონმდებლობით.

კომპანიის მმართველი ორგანოებია:

- ა) კომპანიის უმაღლესი მმართველი ორგანო არის პარტნიორთა კრება;
- ბ) კომპანიის ყოველდღიურ მართვას ახორციელებს დირექტორი;
- გ) 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის წარმომადგენელი და ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირია:

დირექტორი – ევგენი ბობროვი.

დირექტორთან ერთად მნიშვნელოვანი საქმიანი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობენ პარტნიორი კომპანიის ხმის მიცემის აქციონერებიც.

გარდა ამისა, მთელი რიგი აქტუალური საკითხები გადაეცემა თანამშრომელთა გუნდს. რომელშიც შედიან შემდეგი პირები: მთავარი ბუღალტერი — თეა ქოქოვა, გაყიდვების მენეჯერები - ბადრი ალხაზიშვილი და დავით მჭედლიძე, დატვირთვა-გადმოტვირთვის განყოფილების უფროსი – მიხეილ ქავთარაძე, საგარეო ვაჭრობისა და ლოგისტიკის მენეჯერი – გიორგი ყალიჩავა, მოლარე ოპერატორი – ირმა თორია.

კომპანიას ფილიალები არა აქვს.

31.12.2023 წლის მდგომარეობით კომპანიას არ ჰყავს შვილობილი საწარმო.

კომპანიის მიზანია მოგების მიღება გამჭვირვალე, სამართლიანი და ბიზნეს-ეთიკაზე დაფუძნებული საქმიანობის წარმართვის შედეგად.

კომპანიის საქმიანობაა გაცივებული და გაყინული თევზის, ზღვის პროდუქტების და გაყინული ხორცპროდუქტების იმპორტი, ექსპორტი, რეექსპორტი და ტრანზიტი.

გაყიდვების ძირითადი ბაზრებია: საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი, უკრაინა.

შპს „კლიონ ჯორჯია“ არის ერთ-ერთი უმსხვილესი იმპორტიორი გაცივებული და გაყინული თევზის და ზღვის პროდუქტების ქართულ ბაზარზე.

რაც შეეხება კომპანიის მონაწილეობას სომხეთის, აზერბაიჯანის და უკრაინის ბაზარზე, შპს „კლიონ ჯორჯია“ წარმოდგენილია როგორც ექსპორტიორი გაყინული თევზის და ზღვის პროდუქტების.

კომპანიის კონკურენტები იმპორტსა და რეალიზაციაში ქართულ ბაზარზე გაცივებული და გაყინული თევზის, ზღვის პროდუქტების არიან:

- შპს იზი;
- შპს ფიშ ვორდი;
- შპს ხაკანი.

შპს „კლიონ ჯორჯია“ მდებარეობს თბილისში, ისანი-სამგორის რაიონში, მისამართზე მოსკოვის გამზირი 8. ჩვენს კომპანია 2017 წლიდან ნაქირავები აქვს ოფისი 140 კვ. მ. და სამაცივრე კამერები შპს „არკოსგან“, სადაც გვაქვს საშუალება განვათავსოთ 800 ტონამდე პროდუქტი შესანახად შემდგომი რეალიზაციისთვის.

კომპანია ფლობს სატრანსპორტო საშუალებას - Volkswagen Passat, ასევე ავეჯს, საოფისე და კომპიუტერული ტექნიკას მიმდინარე საქმიანობის წარმართვისთვის.

კომპანიის თანამშრომელთა რაოდენობა 2023 წელს 12 ადამიანი იყო.

2023 წელს ჩვენმა კომპანიამ შემოიტანა 2600 ტონაზე მეტი პროდუქცია, გაყიდვების მოცულობამ 2800 ტონაზე მეტი შეადგინა.

შპს „კლიონ ჯორჯია“ ბუღალტრულ და მმართველობით აღრიცხვას აწარმოებს „1C საწარმო“ პროგრამაში.

კომპანიის შემოსავალმა 2023 წელს 160 884 469 ლარი შეადგინა, ხოლო 2022 წელს - 95 367 156 ლარი.

კომპანიის აქტივებმა 2023 წლის ბოლოს შეადგინა 65 735 135 ლარი, მაშინ როცა 2022 წლის ბოლოს მათი ოდენობა 58 187 189 ლარი იყო.

კომპანიის მოგებამ 2023 წელს 4 137 280 ლარი შეადგინა, 2022 წელს კი - 1 777 907 ლარი.

2023 წელს ხელფასის ჯამური ოდენობა 312 226 ლარი იყო, ხოლო 2022 წელს შეადგინა 324 589 ლარი.

კომპანიის საკადრო პოლიტიკა გულისხმობს თანამშრომლებზე ზრუნვას და მათ წახალისებას, რაც მოიცავს დასაქმებულთა სავალდებულო დაზღვევას უბედური შემთხვევებისგან, საკომუნიკაციო საშუალებების კორპორატიული ქსელით უზრუნველყოფას და კომფორტულ სამუშაო გარემოს შექმნას, ანაზღაურებად შვებულებას და პრემიებს.

კომპანიის მთავარი მომწოდებლები არიან მსოფლიოში ყველაზე დიდი მწარმოებლები და გამყიდველები გაცივებული და გაყინული თევზის, ზღვის პროდუქტების, გაყინული ხორცპროდუქტების, როგორიცაა:

- Pacific Seafood Group / აშშ;
- Iceberg Seafood A/S / დანია;
- Da Yang Seafood PTE, LTD / სინგაპური;
- Leroy Seafood AS / ნორვეგია;
- Lunar Freezing & Cold Storage Co., Ltd. / შოტლანდია;
- VSV Seafood Iceland ehf / ისლანდია;
- Longkou East Food Storage Co., LTD / ჩინეთი;
- J.P. Klausen and Co A.S. / დანია და სხვები.

კომპანია ატარებს კვლევას საერთაშორისო ბაზარზე არსებული თევზისა და ზღვის პროდუქტების მდგომარეობის შესახებ მისი მთავარი მომწოდებლებისაგან მიღებული ინფორმაციის მიხედვით.

ამ კვლევის შედეგად მიღებული ინფორმაცია ეხმარება მენეჯმენტს სწორი ბიზნეს-გადაწყვეტილებების მიღებაში, რაც იმპორტირებული პროდუქციის ასორტიმენტს განსაზღვრავს.

ჩვენი გაყიდვების მაჩვენებლებით განისაზღვრება, შიდა ბაზარზე რომელია უფრო გაყიდვადი პოზიციები, რაც გვამღწევს იმპორტირებული პროდუქციის მართვის საშუალებას.

ასევე არის სეზონურობის ფაქტორი კომპანიის საქმიანობაში, როგორც გაყიდვებში, ასევე შესყიდვებში. პროდუქტი, რომელსაც ჩვენ ვყიდით სპეციფიკურია - თევზი და ზღვის პროდუქტები, ამიტომ მას აქვს სეზონურობა გაყიდვებში:

მაღალი გაყიდვების სეზონი - სექტემბერი-დეკემბერი და მარტი-მაისი, დაბალი გაყიდვების სეზონი - იანვარ-თებერვალი და ივნისი-აგვისტო.

საქონლის შემენა ხორციელდება კონკრეტული თევზისა და ზღვის პროდუქტების დაჭერის პერიოდში.

კომპანიის სავალუტო რისკები, ჰეჯირებულია კონტრაქტების მეშვეობით, რომელთა მიხედვით ფიქსირებული ფასი მიიღებულია სავალუტო კურსზე.

კომპანიას არ ემუქრება სესხების დაფარვის რისკი. ყველა სასესხო ვალდებულებები სრულდება დროულად და სრულად. ჩვენ ვერ ვხედავთ სხვა რისკებს, რომლებმაც შეიძლება შეზღუდონ კომპანიის საქმიანობა უახლოეს მომავალში.

კომპანიის მენეჯმენტი მუდმივად აკვირდება და აანალიზებს ზემოაღნიშნულ რისკებს იმ მიზნით, რომ მომავალში დაუყოვნებლივ აღმოფხვრას მცირე რისკიც კი.

ამ ეტაპზე კომპანიას სამართლებრივი დავა არ გააჩნია და არცერთ სამთავრობო უწყებასთან უთანხმოება არა აქვს.

ჩვენი კომპანია არის გადასახადის გადამხდელთა ოქროს სიაში, რადგან ყოველწლიურად ვახორციელებთ დიდი მოცულობის საქონლის იმპორტს და დროულად ვიხდით იმპორტის გადასახდს და დღგ-ს.

2023 წელს 70-ზე მეტი იმპორტის საბაჟო დეკლარაცია გაფორმდა. ასევე გადახდილია იმპორტის გადასახადი - 38 ათასი ლარი და საბაჟო დღგ - 2,3 მლნ ლარზე მეტი. საგადასახადო გადასახადის ვალდებულებების შესრულება ხდება დროულად და სრულად.

შპს „კლიონ ჯორჯიას დირექტორი“

ევგენი ბობროვი

12.03.2025 წ.



შპს აუდიტური კონცერნი „ცოდნისა“

საიდენტიფიკაციო № 211344188. www.tsodnisa.ge ელ. ფოსტა: info@tsodnisa.ge
თბილისი 0177, ვაჟა-ფშაველას გამზ. № 41, IV სართული. ტელ.: 239-33-50, 239-33-69

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2023 წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე

შპს „კლიონ ჯორჯიას“ პარტნიორებსა და მენეჯმენტს

უარყოფითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „კლიონ ჯორჯიას“ (საიდენტიფიკაციო ნომერი – 405118581) (შემდგომში – „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, უტყუარად და სამართლიანად არ ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

უარყოფითი მოსაზრების საფუძველი

კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით 2023 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩატარება ჩვენმა აუდიტორმა კომპანიამ დაიწყო 2024 წლის ივლისიდან. შესაბამისად, ჩვენ ვერ მოვახერხეთ საანგარიშგებო პერიოდის (2023 წლის) დასაწყისში და ბოლოს, აგრეთვე შესადარისი პერიოდის დასაწყისში და ბოლოს მარაგების ინვენტარიზაციაზე დაკვირვებით ან სხვა ალტერნატიული გზებით, მარაგების რაოდენობებისა და დასტურება, რომლებიც კომპანიას აქვს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღრიცხული საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში და ბოლოს (2023 წლის ბოლოს - 4 668 ათასი ლარი, 2022 წლის ბოლოს - 5 698 ათასი ლარი და 2022 წლის დასაწყისში - 3 585 ათასი ლარი). ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო, ვერ განვსაზღვრეთ, აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხულ მარაგთან და მის მოძრაობასთან დაკავშირებით.

ჩვენ ვერ მოვიპოვეთ მესამე მხარეებისგან დასტურის წერილები გადახდილი ავანსების უმეტეს ნაწილზე (31.12.2023: 36 514 ათასი ლარი, 31.12.2022: 28 224 ათასი ლარი და 01.01.2022: 3 086 ათასი ლარი)

და ვერც სხვა ალტერნატიული პროცედურებით შევძელით მათი დადასტურება. შესაბამისად, ვერ დავადგინეთ, საჭირო იყო თუ არა გადახდილი ავანსების მუხლში და მათთან დაკავშირებული ფინანსური ანგარიშგების სხვა ელემენტების მუხლებში რამე სახის კორექტირების შეტანა.

ჩვენ ვერ მოვიპოვეთ მესამე მხარეებისგან დასტურის წერილები სახელშეკრულებო ვალდებულებების უმეტეს ნაწილზე (31.12.2023: 38 596 ათასი ლარი, 31.12.2022: 40 417 ათასი ლარი და 01.01.2022: 45 ლარი) და ვერც სხვა ალტერნატიული პროცედურებით შევძელით მათი დადასტურება. შესაბამისად, ვერ დავადგინეთ, საჭირო იყო თუ არა გადახდილი ავანსების მუხლში და მათთან დაკავშირებული ფინანსური ანგარიშგების სხვა ელემენტების მუხლებში რამე სახის კორექტირების შეტანა.

კომპანიის მიერ არ მომხდარა მოთხოვნების ვადიანობის ანალიზი, მისაღები ეკონომიკური სარგებლის შეფასება და საექვო მოთხოვნების იდენტიფიცირება. შესაბამისად კომპანიას ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული არ ჰქონდა საექვო მოთხოვნების რეზერვი. ჩვენ ვერ შევძელით დაგვედგინა ფინანსური ანგარიშგების ელემენტებში საჭირო იყო თუ არა რაიმე სახის კორექტირების შეტანა.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის – „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ – ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლად ვართ კომპანიისგან „ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო საბჭოს“ „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ (IESBA-კოდექსი) და საქართველოში მოქმედი ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებული ეთიკის ნორმების შესაბამისად და ჩვენ აგრეთვე შევასრულეთ IESBA-კოდექსის და ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებები. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა გარემოებები

ყურადღებას მივაპყრობთ იმ გარემოებაზე, რომ წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება შედგენილია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ როგორც ფასს-ების პირველადი გამოყენება. ფასს-ებზე გადასვლის თარიღია 2022 წლის 1 იანვარი. ფასს 1 - „ფასს-ების პირველადი გამოყენება“ 21-ე მუხლის თანახმად, კომპანიამ წინამდებარე 2023 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოადგინა საანგარიშო წლის წინა, 2022 წლის შესადარისი ინფორმაცია. ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებით.

სხვა ინფორმაცია, რომელიც არ არის ფინანსური ანგარიშგება და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნა

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის თანახმად:

- „1. სდპ-მა და პირველი და მეორე კატეგორიების საწარმოებმა უნდა მოამზადონ და სამსახურს უნდა წარუდგინონ მმართველობის ანგარიშგება...“
2. მმართველობის ანგარიშგება მოიცავს:
 - ა) საქმიანობის მიმოხილვას; ბ) კორპორაციული მართვის ანგარიშგებას; გ) არაფინანსურ ანგარიშგებას.
3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობის მიმოხილვას ამზადებენ სდპ და პირველი და მეორე კატეგორიების საწარმოები.
4. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ კორპორაციული მართვის ანგარიშგებას ამზადებს ამ კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ყ.ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული პირი.

5. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ არაფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს ის სდპ, რომელიც შეესაბამება პირველი კატეგორიის საწარმოს ზომით კატეგორიას, ამასთანავე, საანგარიშგებო პერიოდში ჰყავს საშუალოდ 500-ზე მეტი დასაქმებული...

10. სდპ და პირველი და მეორე კატეგორიების საწარმოები ვალდებული არიან, მმართველობის ანგარიშგება მიაწოდონ აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას. აუდიტორი/აუდიტორული ფირმა გამოთქვამს თავის მოსაზრებას ამ მუხლის მე-6 პუნქტისა და მე-7 პუნქტის „გ“ და „ზ“ ქვეპუნქტების მის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობისა და იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებებთან თანხვედნილობის თაობაზე. აუდიტის განხორციელების პროცესში სუბიექტის შესახებ მიღებული ინფორმაციის გათვალისწინებით აუდიტორი/აუდიტორული ფირმა განსაზღვრავს არსებით უზუსტობებს და საჭიროების შემთხვევაში მიუთითებს მათ არსს“.

აღნიშნული მოთხოვნების შესაბამისად, კომპანიამ ფინანსურ ანგარიშგებასთან თანადროულად წარმოადგინა მმართველობის ანგარიშგება, საქმიანობის მიმოხილვის სახით. საქმიანობის მიმოხილვაში ასახულ ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. საქმიანობის მიმოხილვა მოიცავს ინფორმაციას კომპანიის საქმიანობის, ძირითადი მაჩვენებლების, რისკებისა და სამომავლო გეგმების შესახებ, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას. ჩვენი მოსაზრება კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე. ჩვენ მიერ ჩატარებულ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცენოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობის შესახებ

კომპანიას 2023 წლის მმართველობის ანგარიშგება (საქმიანობის მიმოხილვა) თანხვედნილია ამავე საანგარიშგებო წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია კომპანიის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და

შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონიერულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; გვეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის – ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე


ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტით განსაზღვრული ნაწილის (საქმიანობის მიმოხილვის) ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მიუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოდგენილობის შემთხვევაში.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილი – საქმიანობის მიმოხილვა შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით. ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

გარიგების პარტნიორი აუდიტისა, რომლის შედეგად გაიცა აღნიშნული დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა:

გიორგი ცერცვაძე



შპს აუდიტური კონცერნი „ცოდნისა“
საქართველო, თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი 41.

12 მარტი, 2025 წელი



მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ განხორციელებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობას და კაპიტალის ცვლილებებს 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის, ასევე სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვასა და განმარტებით შენიშვნებს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულად შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, სააღრიცხვო პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- განსჯასთან და შეფასებებთან დაკავშირებული მართებული და გონივრული გადაწყვეტილებების მიღებაზე;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც გარემოებები ამას შეუძლებელს ხდის.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ეფექტიანი და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი საბუღალტრო ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ასევე ფინანსური ანგარიშგების ფასს-ების მოთხოვნებთან შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობის, შეცდომებისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშო პერიოდისთვის დადასტურებულია ხელმძღვანელობის მიერ და ხელმოწერილია 2025 წლის 12 მარტს:

დირექტორი

მთ. ბუღალტერი



ევგენი ბობროვი

თეა ქოქოვეა

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(1 ლარი)

შენ.	31.12.2023	31.12.2022	01.01.2022
მოკლევადიანი აქტივები:			
ფული და ფულის ეკვივალენტები	3.1 3 673 556	9 713 777	1 036 250
სავაჭრო მოთხოვნები	3.2 12 729 252	9 464 460	1 893 325
გადახდილი ავანსები და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	3.3 36 517 959	28 233 958	3 086 114
მარაგები	3.4 4 668 444	5 698 186	3 585 048
საგადასახადო აქტივები	6 310	17 543	72 297
მოკლევადიანი აქტივები სულ:	57 595 521	53 127 924	9 673 034
გრძელვადიანი აქტივები:			
ძირითადი საშუალებები	15 172	25 556	32 113
გამოყენების უფლების მქონე აქტივი	3.5 84 842	113 123	-
ინვესტიციები მკვეთრად საწარმოში	3.6 8 039 600	4 920 586	-
გრძელვადიანი აქტივები სულ:	8 139 614	5 059 265	32 113
აქტივები სულ:	65 735 135	58 187 189	9 705 147
მოკლევადიანი ვალდებულებები:			
სავაჭრო ვალდებულებები	3.7 12 871 810	7 824 533	917 819
საიჯარო ვალდებულების მიმდინარე ნაწილი	3.5 23 097	21 070	-
სახელმწიფო ვალდებულებები	3.8 38 595 892	40 417 100	45
მოკლევადიანი სესხები	3.9 3 746 227	1 150 876	1 151 060
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	7 834	7 885	5 410
მოკლევადიანი ვალდებულებები სულ:	55 244 860	49 421 464	2 074 334
გრძელვადიანი ვალდებულებები:			
გრძელვადიანი სესხები	3.10 -	2 388 141	3 113 789
საიჯარო ვალდებულების გრძელვადიანი ნაწილი	3.5 58 063	82 652	-
გრძელვადიანი ვალდებულებები სულ:	58 063	2 470 793	3 113 789
მესაკუთრეთა კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება/(დაუფარავი ზარალი)	10 432 212	6 294 932	4 517 024
მესაკუთრეთა კაპიტალი სულ:	10 432 212	6 294 932	4 517 024
სულ ვალდებულებები და კაპიტალი:	65 735 135	58 187 189	9 705 147

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2025 წლის 12 მარტს და ხელმოწერილია:

დირექტორი

ევგენი ბობროვი

მთ. ბუღალტერი

თეა ქოქოვა

თანდართული შენიშვნები მე-13-დან 36-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

(1 ლარი)

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2025 წლის 12 მარტს და ხელმოწერილია:

ევგენი ბობროვო

თეა ქოქოევა

10

საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(1 ლარი)

	დაგროვილი მოგება/ (ზარალი)	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 01.01.2022-სთვის	4 538 133	4 538 133
სააღრიცხვო პოლიტიკის შეცვლით გამოწვეული კორექტირებები	-	-
შეცდომის გასწორებით გამოწვეული კორექტირებები	(21 109)	(21 109)
ნაშთი 01.01.2022-თვის	4 517 024	4 517 024
საანგარიშგებო პერიოდის მოგება	1 777 908	1 777 908
საანგარიშგებო პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი	6 294 932	6 294 932
სულ მესაკუთრებთან განხორციელებული ოპერაციები	-	-
ნაშთი 31.12.2022-სთვის	6 294 932	6 294 932

	დაგროვილი მოგება/ (ზარალი)	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 31.12.2022-სთვის	6 055 268	6 055 268
სააღრიცხვო პოლიტიკის შეცვლით გამოწვეული კორექტირებები	9 401	9 401
შეცდომის გასწორებით გამოწვეული კორექტირებები	230 263	230 263
ნაშთი 31.12.2022-თვის	6 294 932	6 294 932
საანგარიშგებო პერიოდის მოგება	4 137 280	4 137 280
საანგარიშგებო პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი	10 432 212	10 432 212
სულ მესაკუთრებთან განხორციელებული ოპერაციები	-	-
ნაშთი 31.12.2023-სთვის	10 432 212	10 432 212

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2025 წლის 12 მარტს და ხელმოწერილია:

დირექტორი

ევგენი ბობროვი

მთ. ბუღალტერი

თეა ქოქოვა

თანდართული შენიშვნები მე-13-დან 36-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

(1 ლარი)

	2023 წელი	2022 წელი	შენიშვნა
ფულადი ნაკადები ს ა ო პ ე რ ა ც ი ო საქმიანობიდან:			
მყიდველებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	178 102 009	138 897 235	
სხვა შემოსულობანი საოპერაციო საქმიანობიდან	262 438	-	
მიმწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები	(179 142 149)	(120 367 013)	
გაცემული შრომის ანაზღაურება (საპენსიო შენატანების ჩათვლით)	(246 413)	(252 216)	
ანგარიშვალდებულ პირებზე გაცემული ავანსები	5 918	(9 024)	
გადახდილი გადასახადები	(2 627 198)	(3 092 039)	
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გაცემები	(79 407)	(1 795 825)	
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საოპერაციო საქმიანობიდან	(3 724 801)	13 381 117	
ფულადი ნაკადები ს ა ი ნ ვ ე ს ტ ი ც ი ო საქმიანობიდან:			
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა	-	5 545	
მიღებული პროცენტები	8 156	28 843	
სხვა შემოსულობანი /განაცემები საინვესტიციო საქმიანობიდან (ნეტო)	(2 103 663)	(2 880 570)	
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საინვესტიციო საქმიანობიდან	(2 095 508)	(2 846 182)	
ფულადი ნაკადები ს ა ფ ი ნ ა ნ ს ო საქმიანობიდან:			
სესხების აღება	12 173 129	5 958 001	
სესხების დაფარვა	(12 069 260)	(5 958 001)	
გადახდილი პროცენტები	(119 333)	(20 671)	3.19
საიჯარო ვალდებულებასთან დაკავშირებული გადახდები	(32 739)	(36 037)	
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საფინანსო საქმიანობიდან	(48 203)	(56 707)	
ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული ზრდა / კლება (ნეტო)	(171 709)	(1 800 701)	
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი:	(6 040 221)	8 677 527	
ფულადი სახსრები (ექვივალენტები) პერიოდის დასაწყისისათვის:	9 713 777	1 036 250	
ფულადი სახსრები (ექვივალენტები) პერიოდის ბოლოსათვის:	3 673 556	9 713 777	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2025 წლის 12 მარტს და ხელმოწერილია:

დირექტორი

ევგენი ბობროვოვი

მთ. ზუდალტერი

თუა ქოქოევა

თანდართული შენიშვნები მე-13-დან 36-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

